შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებაში

უნივერსიტეტის სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება პროექტზე დაფუძნებული სწავლებით ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლებისას
(ერაყის მაგალითი)

აზიზა ქავლუ
განათლების მეცნიერებები
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2016

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია ჩქოტუა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ექსპერტები (სახელი,გვარი &აკადემიური წოდება):

1. პროფესორი, დოქტორი ნათელა დოღონაძე
2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა მესირიძე

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი,გვარი &აკადემიური წოდება):

1. პროფესორი, დოქტორი შაბან ჩეფიკი
2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ ჯოჯუა
3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გულნარა გორგილაძე

შესავალი

ინგლისური ენა გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ენა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისთვის ინგლისური ენა არის საერთაშორისო ენა, რომელსაც ისინი იყენებენ კომუნიკაციისთვის. ყველა, ვისაც სურვილი აქვს წარმატებას მიაღწიოს პროფესიულ სფეროში, ინგლისურ ენას გვერდს ვერ აუვლის, შესაბამისად, ინგლისური ენის გამოყენების მაღალ კომპეტენციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განათლების სფეროს წარმომადგენლები ცდილობენ გამოიყენონ სწავლების სხვადასხვა მიდგომა, რომელთაგან ერთ-ერთია პროექტზე დაფუძნებული სწავლება. ბოლო წლებში ჩატარებულიკვლევები (Ke, 2010; Rousová, 2008; Simpson, 2011; Thomas, 2000) გვიჩვენებენ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება შესაძლოა უფრო ეფექტური და ქმედითუნარიანი იყოს ინგლისური ენის უნარ-ჩვევების დონის ამაღლებისთვის, ვიდრე ტრადიციული სწავლება. რაღა თქმა უნდა, ყოველდღე ახალი ელექტრონული ხელსაწყოების, მრავალნაირი მიმზიდველი მობილური ტელეფონების და ტექნოლოგიური ინოვაციების შემოსვლა ართულებს მასწავლებლისთვის მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობას გაკვეთილზე და მათ მიერ სათანადო დავალებების შესრულების მიღწევას. პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის ეფექტური საშუალება სტუდენტთა დასახმარებლად ინფორმაციის მიღების, გამოყენებისა და დამახსოვრებისთვის. ის სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ პროექტებზე, ავლენენ მზარდ მოტივაციას და პასუხისმგებლობას სწავლისპროცესში.

თავდაპირველად, პროექტზე დაფუძნებული სწავლება (პდს) გამოიყენებოდა სამეცნიერო სასწავლო კურსებში, ხოლო მოგვიანებით, პროფესიული ინგლისური ენის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა მისი დანერგვა ენის შესწავლის სფეროში, როგორიცაა ინგლისური როგორც მეორე ენა (ESL) და ინგლისური როგორც უცხო ენა (EFL).

პროექტზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას ინგლისურის როგორც უცხო ენის კონტექსტში აქვს ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც გულისხმობს, რომ ამ მეთოდით ნასწავლ ენას მოსწავლე უპრობლემოდ იყენებს მთელი ცხოვრების მანძილზე. ხშირად, სწავლის დამთავრების შემდეგ და რეალური ცხოვრების

სიტუაციებში მოსწავლეები ვერ იყენებენ იმ ცოდნას, რაც წლების მანძილზე დააგროვეს. მხოლოდ ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თანამედროვე კონკურენტუნარიან პროფესიულ სამყაროში წარმატებას მიაღწიო, თუ არ გაქვს ცხოვრებისთვის საჭირო უნარები.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ასევე ნაყოფიერად გამოიყენება ინგლისურის სპეციფიური მიზნებისთვის (ESP) კონტექსტში, რადგან ტრადიციული სწავლება ასეთ შემთხვევებში არ არის საკმარისი. პროექტზე დაფუძნებული სწავლება (პდს) სტუდენტებს აძლევს შანსს, რომ არა მარტო ისწავლონ ენა თავიანთი სპეციალობის შესაბამისად, არამედ ასევე ეხმარება მათ კრიტიკულიაზროვნების, კრეატიულობის, ურთიერთთანამშრომლობის და საკუთარი მიმართულების პოვნისუნარების ჩამოყალიბებაში. უფრო მეტიც, პროექტზე დაფუძნებული სწავლება მათ აძლევს საშუალებას, რომ ენის შესწავლის პროცესი იყოს ხალისიანი და ეფექტური და დაეხმაროს ცხოვრებისთვის საჭირო უნარების შეძენაში.

ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ თანამედროვე ახალგაზრდები აქცია "ვიზუალურ თაობად", რომლებიც სურათებს ამჯობინებენ წიგნების კითხვას, რამაც გამოიწვია მათში კითხვის უნარ-ჩვევების დაქეითება. 2004 წელს ორგანიზაციამ National Endowment for the Arts (2007, p. 7), ("ეროვნული წვლილი ხელოვნებაში") დაბეჭდა სტატია: "წიგნის კითხვა საფრთხეშია: გამოკითხვის ანგარიში აშშ-ში ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვის დონის გამოსავლენად." კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელების თითქმის ყველა დემოგრაფიული ჯგუფიკ ითხულობდა პროზას, პოეზიას, დრამას, ზოგადად წიგნებს, თუმცა მნიშვნელოვნად ნაკლები ოდენობით, ვიდრე 10-20 წლის წინ, ამასთან ეს ტენდენცია უფრო მკვეთრად იყო გამოხატული ახალგაზრდებში.

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში აკადემიური მოსწრება და მიღწევები პირდაპირ პროპორციულ კავშირშია კითხვის უნარ-ჩვევებთან, წიგნების კითხვის დონესთან და საერთოდ კითხვის ჩვევებთან. პრობლემა უფრო სერიოზული ხდება, როდესაც განათლება მიმდინარეობს უცხო ენაზე. ჩვენს შემთხვევაში უცხო ენა ინგლისურია. სტუდენტების განათლება იშიკის უნივერსიტეტში (ერბილი, ერაყი)

მთლიანად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტებისთვის აუცილებელია, იცოდნენ ინგლისური წერა-კითხვა არა მხოლოდ სწავლის პროცესში, არამედ ასევე პირადი წარმატების მისაღწევად. ამის გამო, სწავლების მრავალი მეთოდი და მიდგომა გამოიყენება სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად. პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდიც ერთ-ერთი მიდგომაა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური მიღწევები კომპლექსურად გამოიყენონ კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად ინგლისურის როგორც უცხო ენის კონტექსტში. ეს მეთოდი გვეხმარება შევქმნათ ინტერაქტიური ატმოსფერო როგორც სტუდენტებს შორის, ისე სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის. ყველაფერი ზემოთ ნათქვამი კვლევის თემას ხდის **აქტუალურს.**

ამგვარად, წინამდებარე დისერტაცია მიზნად ისახავს მოკრძალებული წვლილის შეტანას ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტებისთვის კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების საქმეში პროექტზე დაფუძნებული სწავლების (პდს) დანერგვით ერაყის კონტექსტში.

წინამდებარე სადოქტოროდი სერტაციის **მიზანია**, გამოიკვლიოს:

- თუ რამდენად მნიშვნელოვნად აამაღლა პროექტზე დაფუძნებულმა სწავლამ პირველკურსელებში კითხვის უნარ-ჩვევები ინგლისურის როგორც უცხო ენის კონტექსტში;
- ტრადიციულმა სწავლებამ თუ გაზარდა პირველ კურსელებში კითხვის უნარ-ჩვევები ინგლისურის როგორც უცხო ენის კონტექსტში;
- თუ იმ ჯგუფში, სადაც კითხვა ისწავლებოდა პროექტზე დაფუძნებული მეთოდით, ჩატარებულმა ტესტირებამ მოგვცა უკეთესი შედეგი, ვიდრე იმ ჯგუფში, სადაც კითხვა ტრადიციულად ისწავლებოდა.

კვლევის **ჰიპოთეზა:**

ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელ ბაკალავრ სტუდენტებში კითხვის უნარ-ჩვევების დონე საგრძნობლად ამაღლდება პროექტზე დაფუძნებული სწავლების (პდს) გამოყენების შედეგად, თუ:

- სტუდენტები საწყის ეტაპზე დაიწყებენ მოკლევადიანი პროექტების შესრულებას და, მათი კითხვის უნარ-ჩვევების ზრდასთან ერთად, თანდათანობით გადავლენ უფრო გრძელვადიან პროექტებზე;
- მასწავლებლის წვლილი პროქტებში შემცირდება დროთა განმავლობაში (თავდაპირველად პროექტები სრულდება მასწავლებლის დახმარებით, მოგვიანებით კი - უფრო და უფრო დამოუკიდებლად);
- პროექტების შესრულებისას ენის შემსწავლელები გაიუმჯობესებენ როგორც შემეცნებით უნარს, ისე კითხვის უნარ-ჩვევებს შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით.

დისერტაციაში გამოყენებულია **კვლევის** შემდეგი **მეთოდები:**

- საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი,
- ანკეტირება,
- ინტერვიუ,
- ექსპერიმენტი,
- ექსპერიმენტის მონაცემებიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის მეთოდები იყო რაოდენობრივი და თვისობრივი, რომელთა მონაცემები გავაერთიანეთ ერთ კვლევაში, რამაც საშუალება მოგვცა, აგვეხსნა მიღებული შედეგები და გამოგვეტანა დამაჯერებელი დასკვნა.

სიახლე

პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობას ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში, განსაკუთრებით მის დიდ წვლილს სტუდენტთა მეტყველების თუ პრეზენტაციის უნარისგანვითარებაში ამტკიცებს დიდი რაოდენობის ლიტერატურა, სადაც არსებობს კვლევის ფაქტები, თუმცა კონკრეტულად კითხვის უნარის გასაძლიერებლად ერაყში არ ჩატარებულა თითქმის არცერთი კვლევა და პროექტი, სადაც გამოიკვეთებოდა, რომ ვარჯიშის და წინსვლის მთავარი ფოკუსია კითხვის უნარები პროექტზე დაფუძნებული სწავლებით. მწირია

კვლევა პროექტების აქტიური გამოყენების შესახებ, რომელიც ეხება ინგლისური ენის შესწავლის ცალ-ცალკე უნარებს თუ ქვე-უნარებს. წინამდებარე კვლევა ინოვაციურად ფოკუსირებულია, რომ დაადგინოს, თუ რამდენად გააუმჯობესა პროექტზე დაფუძნებულმა სწავლებამ ერაყში ინგლისური როგორც უცხო ენის შემსწავლელ სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევები. დისერტაციაში მოცემული პროქტების ნიმუშები არის ორიგინალური და დეტალური.

თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენენ:

- სწავლების კონსტრუქტივისტული თეორიის მიზანშეწონილობა პროექტზე დაფუძნებული სწავლების (პდს) გამოყენების დროს სათანადო სტრუქტურით (Doppelt, 2003; Gülbahar & Tinmaz, 2006; Sidman-Taveau, 2005; Simpson, 2011; Welsh, 2006);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (პდს) ისეთი მიდგომაა, რომელსაც მხარში უდგას სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიული პრინციპები (Helle, Tynjälä, & Olkinuora, 2006; Sidman-Taveau & Milner-Bolotin, 2001);
- წარმატებული,პროექტზე დაფუძნებული სწავლების და ენის კომუნიკაციური სწავლების ინტეგრაცია (Beckett & Slater, 2005; Johnson, 2003; Thomas, 2000);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლების (პდს) ფილოსოფია გამოცდილების გამოყენებით (Aimeur, 2012);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლების (პდს) ინტეგრაცია მეორე ენის და უცხო ენის კონტექსტში (Fried-Booth, 1986; Haines, 1989; M. Legutke, 1984; Papandreou, 1994;Sheppard & Stoller, 1995).

დისერტაციის თეორიული ღირებულება დაკავშირებულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ არსებული თეორიების და მათი გამოყენების ანალიზთ ან ინგლისური როგორც უცხო ენის კონტექსტში, იმის ჩვენებასთან, თუ რამდენად ეფექტურია პდს კითხვი სუნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. კითხვის სტრატეგიები ზოგადად და, კერძოდ, პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას,

შეფასების სხვადასხვა მეთოდები სთავაზობენ მასწავლებელს მყარ თეორიულ ბაზას მათი მოსწავლეების ინგლისურად კითხვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

პრაქტიკული ღირებულება

ყველასთვის აშკარაა, თუ რა ადგილი უჭირავს, ერთის მხრივ, სოციალურ მედიას და ტექნოლოგიებს და, მეორეს მხრივ, კითხვას სხვადასხვა ასაკის ბავშვებში, თინეიჯერების თუ მოზრდილების ცხოვრებაში. უხალისო კითხვა, კითხვის დროს წარმოქმნილი სირთულეები და კითხვის უნარ-ჩვევების ნაკლებობა აშკარად ნათელია; ჩვენი უნივერსიტეტის ზოგიერთ სტუდენტს შესაძლოა არც არასოდეს წაუკითხავს აკადემიური ნაწერი. ექსპერიმენტის ფარგლებში სტუდენტთა გარკვეული ნაწილის ყურადღება მიიპყო მიმზიდველმა და სახალისო კითხვის პროექტებმა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროექტები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის სტუდენტებისთვის, განსხვავებული ენით და კულტურით, არა მხოლოდ აუმჯობესებენ მათ კითხვის უნარ-ჩვევებს, არამედ ასევე ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს, რაც ასე საჭიროა უცხო ენის შემსწავლელთათვის.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, სამი თავი, დასკვნა, რეკომენდაციები და დანართები. ის მოიცავს 39 ცხრილს, 5 სქემასა და 2 გრაფიკს.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

წინამდებარე ნაშრომის **პირველი თავი** ეხება კონსტრუქტივისტულ და სოციალურ-კონსტრუქტივისტულ თეორიებს, რომლებიც წარმოადგენენ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ძირითად თეორიულ საფუძვლებს. ამის გარდა, მასში განხილულია ფსიქოლინგვისტიკური თეორიები, რომლებიც ეხება კითხვას, ენის კომუნიკაციურ სწავლებას (CLT), კომუნიკაციურ კომპეტენციას და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, მის დეფინიციას, აღწერას, ასევე პდს-ს ინგლისურის როგორც უცხო ენის კონტექსტში კითხვის დროს. თავში ასევე გაანალიზებულია მასწავლებლის როლი პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს და მის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები.

პდს-ს ბევრი დეფინიცია აქვს, მაგრამ არის რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც უცვლელია მისი ყველა ვერსიისთვის. პიაჟეს (Piaget, 1970) ცოდნის კონსტრუქტივისტული თეორია ეყრდნობოდა იდეას, რომ მოსწავლეები ეფექტურად ვერ შეიწოვენ და კოპირებას ვერ გაუკეთებენ აზრებს გარესამყაროდან, რაც ახასიათებს ტრადიციულ სწავლებას, რომელსაც ადგილი აქვს ერაყში, მაგრამ მოსწავლეებმა უნდა შექმნან თავიანთი გაგება და კონცეფცია აქტიური და ინდივიდუალური დაკვირვებით და გამოცდილებით. სასწავლო პროცესი რომ იყოს უფრო ეფექტური და სამეტყველო აქტივობებით უხვად დატვირთული, პდს ხდება კონსტრუქტივიზმის სოციალური საზომი, რომელიც იყენებს სტუდენთა ინტერაქციას.

თომასის (Thomas, 2000) განმარტებით, პდს არის მოდელი, რომელიც ორკესტრირებას უკეთებს სწავლებას პროექტების საშუალებით. ეს არის საგანმანათლებლო ფილოსოფია, რომელიც უფრო მეტად დემოკრატიული და საერთო საქმეში ჩართული ჯგუფის უზრუნველსაყოფად მიზნად ისახავს გამოიყენოს შესაძლო მიმართულებები და გზები. ბრენს ფორდის დასტეინის Bransford and Stein (1993) მიხედვით, პდს არის სწავლების მიდგომა, რომელსაც ჩართული ყავს მოსწავლეები კონსტრუქციულ და ურთიერთთანამშრომლურ შესწავლაში. გარდა ამისა, ბევრი პედაგოგი (Blumenfeld et al., 1991) თვლის, რომ პროექტები არის ცოდნის დემონსტრირების საუკეთესო საშუალება). თვლიან რა მასსწავლების ყველაზე ეფექტურ მიდგომად (Lombardi, 2007), ბოლო რამდენიმე ათწლედის მანძილზე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი, და, რადგანაც პდს სწორედ ასეთი მიდგომაა, შესაბამისად, მრავალი მკვლევარი და მასწავლებელი ავლენს პოზიტიურ განწყობას მის მიმართ (Chang, 2014).

მსოფლიოს მუდმივი პროგრესი გავლენას ახდენს განათლების სფეროზე და იწვევს შეხედულებების და კონცეფციების განვითარებას და მათში ცვლილებების შეტანას. ამ გაგებით, პროექტზე დაფუძნებული სწავლების დეფინიციაც იცვლება. ყოველდღიურად სწავლულების, პედაგოგების, ტრენერების, მასწავლებლების ახალი დაკვირვების, გამოკითხვების და კვლევების შედეგები იძლევა ახალ შესაძლებლობებს, რომ მოხდეს მისი განსაზღვრების დაზუსტება. ამიტომ, ისევე

როგორც ყველა მიდგომის შემთხვევაში, აქაც შესაძლებელია ზოგი რამ ამოვარდეს ან პირიქით დაემატოს. მარტივად რომ ვთქვათ, პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის დამყარებას მოსწავლეთა ჯგუფში და აძლევს მათ საშუალებას, გულთან ახლოს მიიტანონ განსახილველი საკითხი, ნაბიჯ-ნაბიჯ იპოვნონ გაჩენილ შეკითხვებზე პასუხი და შეძლონ, გააცნონ შედეგები ფართო აუდიტორიას. პროექტზე დაფუძნებული სწავლება კარს უხსნის მათ სასწავლო კურსიდან ჭეშმარიტ ცხოვრებაში. ის ეხმარება მოსწავლეებს, რომ მეტი კომპეტენცია მოიპოვონ სწავლისას, უფრო მეტიც, მოახდინონ თეორიისა და პრაქტიკის გაჯერება.

ნაშრომის პირველ თავში ასევე განხილულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენების მიზეზები ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში. დღესდღეობით ინგლისური ენა ყველაზე მეტად ისწავლება სხვა უცხოენებთან შედარებით მრავალ ქვეყანაში (Kitao, 1996). თუმცა, ინგლისური ენის სწავლების დროს მწვავედ იგრძნობა ისეთი ფაქტორების ნაკლებობა, როგორიცაა ენის პრაქტიკული გამოყენებადობა და მიზანშეწონილობა რეალურ ცხოვრებაში (Symonds, 2008). განათლების თანამედროვე კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი ან უჭირთ უცხო ენის მთავარი ცნებები და პრინციპები და ასევე ვერ ახერხებენ გამოიყენონ ის, რასაც სწავლობენ ყოველდღიურად (Finn, 2008). ასე რომ, დღითიდღე ინგლისური ენის გამოყენების მოთხოვნები იზრდება, იმასთან დაკავშირებით, როგორ ვასწავლოთ ინგლისური ენა უფრო ეფექტურად, როგორ შეიძლება მოხდეს მისი ათვისება იოლად და მოხერხებულად, რათა შეიძლებოდეს მისი გამოყენება რეალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში. ეს მოთხოვნები გახდა აუცილებელი და მიზნობრივი ინგლისური ენის სწავლებისათვის. იმისათვის, რომ 21-ე საუკუნის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს, მრავალი საგანმანათლებლო მიდგომის დანერგვის მცდელობებია გაკეთებული ენის სწავლების სფეროში. მათ შორის არის პროექტზე დაფუძნებული სწავლება (პდს) (Noom-ura, 2013), რომელმაც მნიშვნელობა შეიძინა 1980-იანი წლებიდან. ფრიდ-ბუთი (Fried-Booth, 1986) იყო ერთ-ერთი წინამორბედი, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია პროექტების გამოყენებას ინგლისურის როგორც უცხო ენის

კონტექსტში. ის ამბობს, რომ პროექტზე მუშაობა ხიდის როლს ასრულებს კლასში ნასწავლ ენასა და კლასის გარეთ გამოყენებულ ენას შორის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შედარებულია ტრადიციული და პდს სწავლება, რაც ემყარება მეიპის (Mapes, 2009) ინფორმაციას მცირედი მოდიფიცირებით.

ცხრილი 1. სწავლების ტრადიციული სტილის შედარება პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან

სწავლების ტრადიციული სტილი	**პროექტზე დაფუძნებული სწავლება**
მასწავლებელზე ორიენტირებული. მასწავლებელი წარმართავს სწავლის პროცესს.	მოსწავლეზე ორიენტირებული. თანატოლთა მოლაპარაკებები და ინტერაქცია. მასწავლებელი შუამავლის როლში.
ენის ცოდნის ჰოლისტიკური გადაცემა ჯგუფისთვის.	ენის ცოდნის კონსტრუირება.
აუცილებელია მასალის დამახსოვრება.	მნიშვნელოვანია შინაარსის გაგება.
ენის კოსმეტიკურიშესწავლა (ზერელე ინფორმაცია მრავალ კონცეფციაზე).	ენის ღრმა შესწავლა (დაწყებული ძირითადი ცნებებიდან, ფოკუსირება ენის სოციალურ და საკომუნიკაციო კომპეტენციებზე).
სწავლა კონტექსტის გარეშე.	ავთენტური სწავლა კონტექსტში.
ენის ინდივიდუალური შესწავლა.	ენის ჯგუფური სწავლა.
ტრადიციული შეფასება.	შესრულებაზე დაფუძნებული შეფასება.

წყარო: (Mapes, 2009: 9)

ლიტერატურის მიმოხილვამ პროექტზე დაფუძნებული სწავლების თაობაზე აშკარად გვიჩვენა, რომ პდს აჩქარებს ენის შესწავლის პროცესს. ყველაზე აღსანიშნავი კი ის არის, რომ პდს-ს თვითეულ ფაზაზე მოსწავლეები აღჭურვილნი არიან ყველა საჭირო აკადემიური და რეალური ცხოვრების კომპეტენციებით.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, პდს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ამიტომ ის მოითხოვს მასწავლებლის როლის ფუნდამენტურ ცვლილებებს (Beckett & Miller, 2006, გვ.144). "მასწავლებლის როლი პროექტებში" ქვეთავში ნათლად აღწერილია მასწავლებლის პოზიცია, მისია და პასუხისმგებლობა პდს-ის გამოყენებისას, როდესაც მასწავლებელს შეუძლია შეასრულოს შუამავლის, მრჩევლის და კონსულტანტის როლი.

მიუხედავად პდს-ს დადებითი გავლენისა, ასევე საჭიროა მიმოვიხილოთ, გავითვალისწინოთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ ის გამოწვევები, რომლებსაც ადგილი აქვს მისი გამოყენებისას, როგორიცაა დროის ფაქტორი და შეფასების სუბიექტურობა.

მეორე თავში წარმოდგენილია პდს-ს გამოყენების მოდელი კითხვისუნარ-ჩვევების ფორმირებისას. ის იკვლევს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კითხვის უნარ-ჩვევები ინგლისურის როგორც უცხო ენის მოსწავლეებისთვის. რადგანაც კვლევა ჩატარდა ერაყელი სტუდენტებისთვის, აღწერილია, თუ რა ადგილი უჭირავს თავად კითხვას ერაყის მოსახლეობაში. ამ თავში ასევე წარმოდგენილია კითხვის ცოდნისთვის საჭირო სტრატეგიები პდს-ს გამოყენებისას, კითხვის პროექტის ტიპები და მათი რეალიზაციის საფეხურები. წინამდებარე თავში ასევე მოცემულია პრს-ს შეფასება ინგლისურის როგორც უცხო ენაზე კითხვისკონტექსტში.

საკმარისი კითხვის გარეშე შეუძლებელია აკადემიური დონის მიღწევა ენის ცოდნაში. ამიტომ ქვეთავში: "კითხვის მნიშვნელობა EFL სტუდენტებში" მკვლევარი აანალიზებს კითხვის როლს. ნაჩვენებია, რომ კითხვა არა მხოლოდ მნიშვნელოვანია ენის ათვისებაში, არამედ აკადემიურ კონტექსტში. ამ მოსაზრებას გამოხატავს ნოორი (Noor, 2011), რომელმაც დაასაბუთა, რომ თვით-სწავლა და თვით-განვითარება ეყრდნობა კითხვას, როგორც ინტეგრალურ კონცეფციას, ანუ დამოუკიდებლად კვლევას, იდეების შესწავლას და ცოდნის დაგროვებას. ეს განსაკუთრებით შეეხება უცხო ენაზე კითხვას. 21-ე საუკუნის სწრაფი ინოვაციების, გამოწვევებისა და სირთულეების გასამკლავებლად კითხვა არის ფასეული და გადამწყვეტი უნარ-ჩვევა არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ საზოგადოების

სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის (Akanda, Hoq, & Hasan, 2013; Akarsu & Darıyemez, 2014). ჰოლტე (Holte, 1998) ხაზს უსვამს კითხვის მნიშვნელობას, რადგან ის ამაღლებს ცხოვრების დონეს და ადამიანს აძლევს შანსს, შეიმეცნოს კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა. მას სწამს, რომ კითხვა აძლიერებს, ათავისუფლებს და ამავდროულად აკავშირებს ადამიანებს.

რადგან წინამდებარე კვლევა ეხება ერაყში, უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ ნაწილში, ქურდისტანში, ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელთა შორის კითხვის საკითხს, ქვეთავში: "კითხვა ერაყში" აღწერილია ამ რეგიონის სიტუაცია, ბოლო პუბლიკაციებზე და განახლებულ წყაროებზე დაყრდნობით და ყურადღებით გაანალიზებულია მოპოვებული ინფორმაცია, საექსპერიმენტო კვლევაში ოპტიმალურად გასათვითცნობიერებლად. ერაყსა და ქურდისტანს ისეთი მდებარეობა აქვთ, რომ ისტორიულად სიტყვა 'ომი' ყველასთვის ცნობილია. ამიტომ ძნელია ისაუბრო იქ მცხოვრებ ისეთ სტუდენტებზე, რომლებიც არიან განათლებული და აქვთ კითხვის კარგი ჩვევები, რადგან სულ ცოტა ოცი წელი მაინც საჭიროა, რომ განათლება მივცეთ თაობას, რომელიც იქნება ნაკითხი, განათლებული, კითხვის კარგი ჩვევებით. 2013 წლის მონაცემებით, 9 წლის ასაკის ზემოთ ერაყის მოსახლეობის 18% არის წერა-კითხვის უცოდინარი. ეს არის მწვავე პრობლემა როგორც განათლებაში მიღწევების თვალსაზრისით, ასევე სკოლაში ბავშვთა მიყვანის მხრივ, რომლის შემცირებამაც პიკს მიაღწია 2014 წელს ერაყზე ორგანიზაციის 'ისლამისტური სახელმწიფოს' (ISIS) თავდასხმის გამო. ამ მდგომარობის გამო, კითხვა სრულიად ამოვარდა ერაყელი ხალხის დღის წესრიგიდან. სტაბილურობის არქონამ, გაუთავებელმა ომმა ძირითადად იმოქმედა განათლებაზე და, შესაბამისად, ხალხის კითხვის ჩვევებზე. კითხვის ცუდი უნარ-ჩვევების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ წარმატება ერაყში უკავშირდება დაზეპირებას, თვით სავალდებულო გამოცდაც კი, რომელიც სერიოზული მოტივატორია მოსწავლეებისთვის, რომ ისწავლონ და წაიკითხონ რაც მოეთხოვებათ, დაფუძნებულია პრობლემების, ამოხსნების თუ კითხვებზე შესაძლო სწორი პასუხების და ზეპირებაზე (Kavlu, 2015). ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ უნდა შევისწავლოთ და ვეცადოთ გამოვიყენოთ ახალი,

ინოვაციური გზის გამკვლევი, ნაყოფიერი სწავლა, სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება, რათა შევქმნათ მეგობრული, პროდუქტული და სახალისო გარემო კლასში და კლასის გარეთ, სადაც მოსწავლეებს ექნებათ ურთიერთგაგება, მიუხედავად მათი კულტურისა თუ რელიგიის. პროექტზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება იყოს ერთ-ერთი ასეთი მიდგომა, რადგან ის არის მოსწავლეზე ორიენტირებული და, სხვადასხვა პროექტების გამოყენებით, სტიმულს აძლევს მოსწავლეს მიიღოს სასარგებლო ინფორმაცია.

ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელთა უმრავლესობას, ალბათ, იშვიათად ან არასოდეს აქვს საშუალება ესაუბროს ინგლისურენოვან ადამიანებს, მაშინ როცა ყველგან და ყოველთვის ხელი მიუწვდება ინგლისურ ენაზე დაწერილ მასალასთან (Rivers, 1981). მაშასადამე, კითხვა ყოველთვის განხორციელებადია უცხო ენის შესწავლის შემთხვევაში, გააზრებული ზეპირი კომუნიკაცია კი შეზღუდულია (Gorsuch & Taguchi, 2008).

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ჩატარებული საკმაო რაოდენობის კვლევებმა დაადასტურეს კითხვის მრავალი სტრატეგიის ქონის როლი წაკითხულის გაგებისათვის, რაც ეხმარება სტუდენტებს, გახდნენ სტრატეგიული მკითხველები და გააძლიერონ თავიანთი კითხვის უნარ-ჩვევები (Klingner, Vaughn, & Schumm, 1998; Koda, 2005; Lee, 2003; Lenski & Nierstheimer, 2002; Palinscar & Brown, 1984; Pressley & Allington, 2014; Rosenshine & Meister, 1994; Song, 1998).

ქვეთავში "კითხვის გაგების სტრატეგიები პროექტის შესრულების დროს" აღწერილია კითხვის კოგნიტიური სტრატეგიები, რომლებიც გამოვიყენეთ პროექტის დაწყებისთანავე: კითხვის თანამშრომლობითი სტრატეგია (მიმოხილვა, მთავარი აზრის გაგება და მოკლედ გადმოცამა); ურთიერთ-სწავლება (შეჯამება, შეკითხვების დასმა, მნიშვნელობის დაზუსტება, პროგნოზირება); ტექსტის გაგების სტრატეგიების პირდაპირი ახსნა და ტრანზაქციული სტრატეგიების სწავლება.

პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას პროექტები მოითხოვენ წაკითხულის ღრმა გაგებას. ზემოთ ნახსენები კითხვისას ტექსტის გაგების სტრატეგიები არსებითად დაკავშირებულია პდს-ს პროექტის შესრულების პროცესის

საფეხურებთან, რადგან პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები ტიპიურად იყენებენ კითხვას მოცემული დავალების თემისათვის მასალის ძიებისას და პროექტის განხორციელებისთვის, რაც მათ აძლევს საშუალებას შეასრულონ პროექტი.

ქვეთავი "კითხვის პროექტის განვითარების საფეხურები" გვიჩვენებს პროცესის წარმოებას, რომელსაც ასრულებენ მოსწავლეები მასწავლებლის მხარდაჭერით. პროექტის ხასიათი იცვლება იმის მიხედვით, თუ ენის რომელი უნარის გაძლიერებაზეა ის მიმართული. ამდენად, პროექტის განვითარების მთავარი ეტაპები თითქმის ერთნაირია, იქნება ეს კითხვის, წერის, საუბრის თუ მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ პროექტის ეტაპების მოთხოვნების შესრულებისას მთავარი მიზანია ინგლისური ენის შესაბამისი უნარ-ჩვევის განვითარება.

პროექტის განვითარების საფეხურები არის პრინციპების თანმიმდევრობა, რასაც მოსწავლეც და მასწავლებელიც მიყავს ხელშესახებ შედეგებამდე. ეს პრინციპები დაგეგმილია ენის უნარ-ჩვევების ბაზაზე, რისი განვითარებაც სჭირდებათ სტუდენტებს (Rost & Candlin, 2014). იმ სტუდენტებს, რომელთაც სჭირდებათ კითხვის უნარ-ჩვევების გაძლიერება, ვთავაზობთ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე დაფუძნებულ პროექტებს. ამ პროექტის საფეხურები მოსწავლეებისგან მოითხოვს დიდი ოდენობით კითხვას და უვითარებს კითხვის უნარ-ჩვევებს. კითხვის პროექტები სისტემატიკური მეთოდოლოგიის შედეგია. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად მკვლევარის მიერ შეჯამდა კითხვის პროექტის განვითარების რელევანტური საფეხურები, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ სქემაზე:

სქემა1.კითხვის პროექტის განვითარების საფეხურები

ქვეთავში "კითხვის პროექტების ტიპები" განხილულია ინგლისური ენის კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებელი პროექტები. მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ გააუმჯობესონ მოსწავლეების კითხვის უნარ-ჩვევები, მაგრამ ეს არ არის იოლი გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროში, ინტენსიური და მკაცრიკური კულუმის პირობებში. გაკვეთილის დრო აშკარად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უცხო ენაზე კითხვა გახადო სახალისო, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ უყვარს კითხვა. ამ შემთხვევაში პდს ეხმარება მოსწავლეებს და მასწავლებლებს. რადგან კითხვის უნარ-ჩვევები გადამწყვეტია, განსაკუთრებით ბაკალავრიატის იმ სტუდენტებისთის, ვინც სწავლობს ინგლისურად, ამიტომ საჭიროა მისი ინტეგრირება სტუდენტთა რეალურ და აკადემიურ ცხოვრებაში. არის ისეთი პროექტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინგლისური ენის კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში. დებატები და დებატებში შეჯიბრი ეხმარება სტუდენტებს ეფექტურ კითხვაში. ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელბმა წინასწარ უნდა მოძებნონ თემები დებატებისთვის. მაშასადამე, უნარები, როგორიცაა დათვალიერებითი და ძიებითი კითხვის უნარები, უმჯობესდება, როდესაც სტუდენტებმა უნდა შეძლონ "ამოირჩიონ რელევანტური და საჭირო მტკიცებულება და სანდო წყარო, რომ დაასაბუთონ თავიანთი აზრები." (Zare & Othman, 2013, გვ. 1510). გარდა ამისა, ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელებს უძლიერდებათ შეჯამების და დაგეგმვის უნარები.

პროექტის კიდევ ერთი სახეობაა ვიქტორინა - თამაში, რომელიც ხალისიანს და საინტერესოს ხდის გაკვეთილებს. ინფორმაციული და საინტერესო საკითხების მოსამზადებლად სტუდენტები კითხულობენ ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს. მათი კითხვა ავითარებს დათვალიერებითი და ძიებითი კითხვის უნარებს. ინფორმაციის დაგროვების პროცესში, ვიქტორინისთვის მომზადებისას, სტუდენტები იუმჯობესებენ ინფორმაციის მოზიების უნარს, ტექსტის ტიპების გამოცნობას და ინფორმაციის ერთი ფორმატიდან მეორე ფორმატში გადაყვანას.

პროექტის მესამე ტიპი არის მოკლე მოთხრობაზე დაფუძნებული ვიდეოს გადაღება, რაც ასევე გასართობი და სასიამოვნო აქტივობაა კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებლად (Ismaili, 2013). ეს აქტივობა ავითარებს სწრაფი კითხვის უნარს, დათვალიერებითი და ძიებითი კითხვის უნარებს და მთავარი იდეის პოვნას (Zeraatkar & Hadipanah, 2013).

პროექტის კიდევ ერთი სახეობაა სტუდენტების მიერ მომზადებული გაზეთი (Poonpon, 2011). გაზეთის მოსამზადებლად სტუდენტებმა უნდა წაიკითხონ და გაანალიზონ არსებული გაზეთები, ჟურნალები, ინტერნეტ-გაზეთები და სტატიები. ეს მასალები გამოყენებული იქნება როგორც სანიმუშო მასალა, ასევე მათი კითხვა განუვითარებს სტუდენტებს დათვალიერებითი და ძიებითი კითხვის უნარებს (Makhloufi, 2013; Lindsay and Knight, 2006). ყველა ტიპის პროექტს საკუთარი გავლენა აქვს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ქვეთავი: „შეფასება პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს“ იკვლევს პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს შეფასების შემთხვევას ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში. ეს არის გადამწყვეტი და საინტერესო ფაზა. თუ შევადარებთ ტრადიციული სწავლების შეფასებას, პდს-ისას შეფასება არის განსხვავებული და მასტიმულირებელი. სხვადასხვა ტიპის შეფასებებს იყენებენ პდს-ის დროს, ესენია თვითშეფასება, ჯგუფელების მიერ ურთიერთშეფასება, შემთხვევის ანალიზზე (ე.წ. ქეისზე), პერფორმანსზე დაფუძნებული და პორტფოლიოს შეფასება.შეფასების სხვადასხვა ტიპების შედარება თავმოყრილია მკვლევარის მიერ შედგენილ ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2. თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და ფასილიტატორი-მასწავლებლის შეფასების შედარება

შეფასების კრიტერიუმები / შეფასების სახეები	თვითშეფასება	მოსწავლეების ურთიერთშეფასება	ფასილიტატორი-მასწავლებლის შეფასება
კითხვის პოპულარობა	იზრდება	იზრდება	სავალდებულოა
შეფასებისფორმა	ავთენტური, ალტერნატიული, საკუთარი სამუშაოს თვითშემოწმება	ავთენტური, ალტერნატიული,ერთმანეთის ნაშრომის შეფასება	ტრადიციული, აფასებს მოსწავლეთა პირად ძალისხმევას და გუნდურ მუშაობას
მოსწავლე	აქტიური შეფასების პროცესში, მოსწავლის დამოუკიდებლობა იზრდება	ინტერაქტიული და აქტიური შეფასების პროცესში, მოსწავლის დამოუკიდებლობა იზრდება	უკუკავშირის და შეფასების მიმღები (პასიური)
მიდგომა	სტუდენტზე ორიენტირებული	სტუდენტზე ორიენტირებული	დანერგილი შეფასების ფორმის მიხედვით: ან მასწავლებელზე ორიენტირებული ან თანაბრად მასწავლებელ-მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა
ინფორმაცი	პირდაპირ მოსწავლისგან	ინფორმაციის მიღება, კონსტრუქციული უკუკავშირი	კომენტარს აკეთებს მოსწავლეთა

ა	მიღებული (საკუთარი შემოწმების სია, საკუთარი შეფასების ფორმა)	კლასელისგან ან გუნდის წევრისგან (კლასელის შემოწმების სია, დაკვირვება კლასელის შეფასების ფორმა)	ინდივიდუალურ ან ჯგუფურ პროგრესზე. აკეთებს უკუკავშირს, რაც ეხმარება მოსწავლეს თავი აარიდოს მცდარად გაგებას და განვითარდეს სწავლაში
სასწავლოპროცესი	აქტიური, პასუხისმგებელი თავის და სხვის სწავლაზე, თვითკორექცია, თვითმმართველი, დაუფლებულია შეფასების სხვადასხვა ტექნიკაზე	აქტიური, კონსტრუქციული ცოდნა, ინფორმაციის გაზიარება	მოსწავლე პასიურია, ფასილიტატორი მასწავლებლის პოზიტიური უკუკავშირი
შეკითხვები	რა არის ჩემი პროგრესი და ნაკლოვანებები? რა არის ჩემი პასუხისმგებლობა პროექტის შესასრულებლად?	როგორ გავაკეთო კონსტრუქციული, ეფექტური და არადამამცირებელი უკუკავშირი? შეძლებს ჩემი უკუკავშირი და რუბრიკის კრიტერიუმები გაზარდოს (თვითეული მოსწავლის ან გუნდის) მოტივაცია და ენთუზიაზმი პროექტის დასამთავრებლად და არ წარმოქმნას უარყოფითი კონკურენტული გარემო?	თუ არის პროექტის შესასრულებლად საჭირო მოთხოვნები გასაგები? როგორ ვადევნო თვალყური მოსწავლეთა მუშაობას, რომ არ დაკარგონ ფოკუსირება? თუ იცვლება მოსწავლეთა აქტივობა: სხვისი დახმარების შემყურედან თვითონ რომ ხდება აქტიური და სწავლას მოწყურებული?

დამოკიდებული ცვლადი კვლევაში იყო კითხვის უნარ-ჩვევების დონე, ამიტომ კვლევაში გაანალიზებულია პროექტზე დაფუძნებული სწავლის გავლენა ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლებისას ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მათ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამგვარად, მეორე თავი გვაძლევს იმის წარმოდგენას, თუ როგორ იქნა კვლევის დროს პროექტზე დაფუძნებილი სწავლა ინტეგრირებული ინგლისურის როგორც უცხო ენის კითხვის სწავლებაში.

მესამე თავი ეხება კვლევას მოსწავლეთა კითხვის უნარების გასაძლიერებლად, პდს-ის გამოყენებას ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების გარემოში და მის გავლენას. კვლევაში შედის რამდენიმე კომპონენტი:

- სტუდენტთა წინასაექსპერიმენტო კითხვარი;
- მასწავლებელთა წინასაექსპერიმენტო ინტერვიუ;
- ექსპერიმენტული კვლევა - პროექტზე დაფუძნებული სწავლის დანერგვა ერაყის პირველკურსელ სტუდენტთათვის კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებლად (თვით ექსპერიმენტი, შესაბამისი საკონტროლო-ტრადიციული სწავლების - ჯგუფით და ექსპერიმეტულიჯგუფით, სადაც ხდებოდა პროექტზე დაფუძნებული სწავლა;
- ლექტორების ექსპერიმენტის-შემდგომიინტერვიუ;
- სტუდენტთა ექსპერიმენტის-შემდგომი კითხვარი.

სტუდენტთა წინასაექსპერიმენტო კითხვარი, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა დამოკიდებულებას კითხვის მიმართ, და რომლის საშუალებითაც მოხდა მათი დამოკიდებულების, ასევე მათი კითხვის ჩვევების, სმარტფონების გამოყენების ჩვევის შეფასება. გამოკითხვა ჩატარდა განათლების ფაკულტეტზე - სამომავლო ექსპერიმენტულ ჯგუფში. კითხვარის მთავარი მიზანი იყო სტუდენტების უფრო ახლოს გაცნობა, რათა შემდეგ მომხდარიყო მათი ეფექტური სწავლება. კითხვარიდან მიღებულმა ინფორმაციამ მკვლევარს საშუალება მისცა, ექსეპრიმენტულ ჯგუფში შეერჩია ისეთი პროექტები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა სტუდენტების ინტერესები, ასევე ციფრული მოწყობილობები, სოციალური ქსელები, კომპიუტერების, სმარტ ტელეფონების და პლანშეტური კომპიუტერების აპლიკაციები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ.

კვლევამ გამოავლინა სტუდენტთა ზოგადი დამოკიდებულება კითხვის მიმართ და მათი ჩართულობა. სტუდენტებს ძირითადად უყვართ კითხვა: მდედრობითი 32%+ მამრობითი 40% = 72%. მეორეს მხრივ, სტუდენტების 28%-ს (16+12) არ უყვართ კითხვა, და ეს არის უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავლისმეტყველი რაოდენობა, განსაკუთრებით, განათლების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სტუდენტთა მხოლოდ 33.3% ანიჭებს უპირატესობას კითხვას როგორც თავისუფალი დროის გატარების ფორმას. მდედრობითი სქესის სტუდენტთა შორის 25% იშვიათად კითხულობს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით მდედრობითი სქესის სტუდენტების 60%-ს არ აქვთ კითხვის ჩვევები. პროექტების განხილვისას მამრობითი სქესის სტუდენტების პროექტები უფრო საგანმანათლებლო იყო და კითხვის უკეთეს ჩვევებს ასახავდა. გამოკითხვამ გამოავლინა საჭირო ინფორმაცია სტუდენტების კითხვის ჩვევების შესახებ. მიღებული ინფორმაცია ყურადღებით გაანალიზდა. შემდეგ წარმოვადგინეთ პროექტზე დაფუძნებული სწავლის პროექტი.

პდს-ის იმპლემენტაციას დაწყებამდე **ინტერვიუ** ჩატარდა **იშიკის უნივერსიტეტის ლექტორებთან** სტუდენტთა კითხვის უნარების შესახებ,რათა მოგვესმინა მათი მოსაზრებები ამ მიმართულებით. რესპონდენტები იყვნენ განათლების ფაკულტეტის ლექტორები ინგლისური ენის მიმართულებით. გამოკითხულმა ლექტორებმა უკვე იცოდნენ სტუდენტების დამოკიდებულების შესახებ კითხვის მიმართ, რადგან ჰქონდათ იშიკის უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუ ჩატარდა, რათა გაგვეგო, რამდენად შეესაბამებოდა პროექტი სტუდენტთა უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

ექსპერიმენტული კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, თუ მართლა გაზრდიდა პროექტზე დაფუძნებული სწავლა, შემუშავებული მოდელის მიხედვით, ინგლისურის როგორც უცხო ენის შემწსავლელი ერაყელი სტუდენტების კითხვის უნარებს. შესაბამისად, გამოიკვეთა კვლევასთან დაკავშირებული სამი შეკითხვა:

- მნიშვნელოვნად გაიზრდება თუ არა პროქტების გამოყენებისას უნივერსიტეტის ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების კითხვის უნარების დონე პროექტზე დაფუძნებული სწავლისას?
- მნიშვნელოვნად გაიზრდება თუ არა ტრადიციული სწავლებისას უნივერსიტეტის ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების კითხვის უნარების დონე?
- გაიზრდება თუ არა ექსპერიმეტულ ჯგუფში კითხვის ტესტების შედეგები საკონტროლო ჯგუფთან შედარებით?

რაოდენობრივი მონაცემების წარსადგენად გამოვიყენეთ ცხრილები, სადაც მოცემულია ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგები, რომლების მოიცავენ საშუალო შედეგს, სტანდარტულ გადახრას, სტუდენტების მიერ მიღებულ მაქსიმალურ და მინიმალურ ქულებს, და საშუალო შედეგების გაანგარიშებისას მიღებულ სტანდარტულ ცდომილებას.

ცხრილი 3. საკონტროლო ჯგუფის მონაცემები ყველა სესრულებულ ტესტში

პარამეტრი / დრო	წინა-საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	1 შუა-საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	2 შუა-საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები (პოსტ-ტესტი)	ექსპერიმეტის-შემდგომი (გადავადებლი) ტეტსტირების შედეგები
საშუალო შედეგი	50.320	52.680	50.880	58.640
სტანდარტული გადახრა	12.7106	11.8526	11.5806	12.0031
მაქსიმალური ქულა	77	72	73	78
მინიმუმალური ქულა	21	24	25	30
სტანდარტულიცდომილება	2.5421	2.3705	2.3161	2.4006

ცხრილი 4. ექსპერიმენტული ჯგუფის მონაცემები ყველა შესრულებულ ტესტში

პარამეტრი / დრო	წინა საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	1 შუა საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	2 შუა საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები (პოსტ-ტესტი)	ექსპერიმეტის ბოლო ტეტსტირების შედეგები
საშუალო შედეგი	51.435	60.391	71.043	86.087
სტანდარტული გადახრა	13.7967	12.6518	11.3637	9.2781
მაქსიმუმალური	74	85	89	98

ქულა				
მინიმუმალური ქულა	31	37	50	70
სტანდარტული ცდომილება	2.8768	2.6381	2.3695	1.9346

ცხილი 5. საკონტროლო და ექსპერიმეტული ჯგუფების ტესტირების შედეგების შედარება

	საკონტროლო ჯგუფი	**ექსპერიმენტული ჯგუფი**
წინა-საექსპერიმენტო ტესტირების შედეგების საშუალო ქულა	50.320	51.435
შუა-საექსპერიმენტო ტესტირების შედეგების საშუალო ქულა	50.880	71.043
ექსპერიმეტის-შემდგომი (გადავადებული) ტესტირების შედეგების საშუალო ქულა	58.640	86.087
ზრდა	8.320 (16.53%)	34.652 (67.37%)

ექსპერიმენტულმა ჯგუფმა ქულებით გაუსწრო საკონტროლო ჯგუფს. შედეგებმა გვაჩვენა, რომ პროექტზე დაფუძნებულმა სწავლებამ სერიოზულად გააძლიერა კითხვის უნარ-ჩვევების დონე ექსპერიმენტულ ჯგუფში.

სიტუაციის ვიზუალურად შესაფასებლად აიგო გრაფიკი 1 სადაც ვხედავთ ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდეგ ტესტების შედეგებს ორივე ჯგუფში. თავიდან ორივე ჯგუფს თითქმის თანაბარი მდგომარეობა ჰქონდათ, შემდეგ ექსპერიმენტულმა ჯგუფმა დაიწყო წინსვლა სწრაფად, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის შედეგები მერყეობდა და საბოლოოდ ცოტაოდენ გაუმჯობესდა.

გრაფიკი 1. ექპერიმენის საშუალო ქულების შედეგები



ეს შედეგები ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლის როლი კითხვის უნარების გაუმჯობესების საკითხში არის პოზიტიური.

პროექტზე დაფუძნებული სწავლის გამოყენების შემდეგ ექსპერიმენტის-შემდგომი ინტერვიუ ჩატარდა ლექტორებთან. მასწავლებლების დაკვირვებამ და უკუკავშირმა დაადასტურა პროექტის დადებითი გავლენა სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.

სტუდენტების ექსპერიმენტის-შემდგომი კითხვარი. რაოდენობითმა მონაცემებმა დაამტკიცეს, რომ იმ ჯგუფში, სადაც დავნერგეთ პროექტზე დაფუძნებული სწავლა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კითხვის უნარ-ჩვევები. ინტერვიუს საშუალებით მივიღეთ სტუდენტებისგან უკუკავშირი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში პროექტზე დაფუძნებული სწავლის გამოყენების შემდეგ, გავარკვიეთ მის გავლენაზე სტუდენტების შეხედულებები. სტუდენტების გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტების უმრავლესობას სჯერა, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლა აუმჯობესებს მათ კითხვის უნარ-ჩვევებს და ხელს ზოგადად უწყობს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას. პროექტები მათ ასევე დაეხმარა ცხოვრებისეული უნარების შეძენაში.

კვლევის შეზღუდვები. რადგანაც წინამდებარე კვლევა ჩატარდა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში განათლების ფაკულტეტის პირველკურსელებთან, რთულია

მისი შედეგების განზოგადება. სხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ შესაძლოა განხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ჩატარებული კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს, თუმცა, მეტი თვისობრივი კვლევის აუცილებლობა არსებობს ამ სფეროში.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა მხოლოდ განათლების ფაკულტეტზე ერთ კერძო უნივერსიტეტში. თუ შემდგომი კვლევა შეიძლება ჩატარდება უფრო მეტ სტუდენტებთან სხვადასხვა ფაკულტეტებზე და სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაძლოა განსხვავებული კვლევის შედეგები მივიღოთ. დიდ ყურადღებას მოითხოვს კვლევის ობიექტის და ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის შერჩევა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეს კვლევა ჩატარდა, რათა გამოგვევლინა პროექტზე დაფუძნებული სწავლის გამოყენების გავლენა სტუდენტ-ბაკალავრების კითხვის უნარ-ჩვევებზე ერაყში. რელევანტური ლიტერატურის განხილვამ შექმნა კვლევის თეორიული ჩარჩო. კვლევის მიზანი იყო, რომ ინოვაციური, სტუდენტზე ორიენტირებული, კრიტიკულ აზროვნებაზე და ანალიზზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების გზით შეევსო ერაყის საგანმანათლებლო და ინგლისური ენის შემსწავლელ საზოგადოებაში არსებული სიცარიელე.

- ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით მობილური ტექნოლოგიის განვითარებამ, სოციალური მედიის პოპულარობის ზრდამ, ინტერნეტის და ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობამ ზოგ შემთხვევაში უარყოფითი გავლენა მოახდინა სტუდენტთა კითხვის ჩვევებზე. სამწუხაროდ, კითხვა თანდათან იდევნება სტუდენტთა ცხოვრებიდან ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო. კითხვის როლის შემცირების ტენდენცია უფრო იზრდება ისეთ არასტაბილურ ქვეყნებში, როგორიც ერაყია. თუ არ არის კითხვის პრაქტიკა, ასევე ვერ იქნება კითხვის უნარ-ჩვევები და ჩვევები, რადგან რეგიონის არასტაბილურობა აისახება როგორც პირად, ისე საგანმანათლებლო ცხოვრებაში.
- ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეპოვა ისეთი მიდგომა, რომელიც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს, მოეხდინათ ტექნოლოგიებისა,

ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენების კომბინირება კითხვის პრაქტიკასთან, რათა გაეუმჯობესებინათ ინგლისური ენის კითხვის უნარ-ჩვევები, ისე რომ სწავლის პროცეზი ყოფილიყო კომუნიკაციური და სასიამოვნო. პროექტზე დაფუძნებულმა სწავლამ მომცა საშუალება, რომ დამენახა ისეთი სტუდენტები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევით სამუშაოებში, კითხულობდნენ, სვამდნენ შეკითხვებს, ივითარებდნენ კითხვის ადეკვატურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ, გაეანალიზებინათ დაწერილი ინფორმაცია და მიეღოთ ხარისხიანი საბოლო ოპროდუქტი. სხვადასხვა ქვეყნებში (ჩინეთი, თურქეთი, იაპონია, ტაივანი, ფილიპინები, ესპანეთი, მექსიკა, ირანი, გერმანია) ჩატარებულია მრავალი კვლევა, რომლებიც ეხება ინგლისურის როგორც უცხო ენის შესწავლას, რომლებშიც შესწავლილია პროექტზე დაფუძნებული სწავლის (პდს) გავლენა ინგლისური ენის უნარებზე ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელ სტუდენტებში, მოტივაციაზე, მოსწავლეთა ავტონომიასა და 21-ე საუკუნის უნარების დაუფლებაზე. მეორეს მხრივ, არ არსებობს არცერთი ნაშრომი, რომელიც ეხება პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას და მის ინტეგრაციას ინგლისურის როგორც უცხო ენის ერაყში სწავლების კონტექსტში ან მის გავლენას ინგლისური ენის უნარებზე (კონკრეტულად კითხვის უნარზე) ერაყელ სტუდენტებში. ამ მხრივ წინამდებარე ნაშრომი არის ამ თემატიკაზე შესრულებული ერთედერთი ნაშრომი ერაყის კონტექსტში. ბევრ საკითხს სჭირდება შესწავლა პროექტზე დაფუძნებული სწავლის ფარგლებში ერაყის ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტთან და განათლების სისტემასთან დაკავშირებით. ერაყში შესაძლებელია მრავალი კვლევითი სამუშაოს ჩატარება და ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში, ისევე როგორც სხვა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს, რომელიც კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ფოკუსირებული, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ბევრი წასაკითხი მასალა ციფრული ან დაბეჭდილი ფორმით. ამ გზით ისინი ღრმად და აზრიანად უკავშირდებიან

ინფორმაციულ თუ ლიტერატურულ ტექსტებს, რითიც იძენენ ცოდნას, იფართოვებენ თვალსაწიერსა და იძლიერებენ გამოცდილებას. ამის შემდგომ მოსწავლეები ავლენენ დასაბუთების და გონიერიმ სჯელობის უნარს.

- პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს ძიების ეტაპზე მოსწავლეებს შესაძლოა შეხვდეთ რთული წასაკითხი ტექსტები, რომლებიც მათ დონეს აღემატება, განსაკუთრებით ერაყში ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ კითხვის უნარ-ჩვევების დაბალი დონე. მათთვის საჭიროა, ისწავლონ ტექსტის ნაწილებად დაყოფა და კითხვის უნარ-ჩვევების თანდათანობით დაუფლება, რათა შეძლონ ტექსტის გაანალიზება. ურთიერთ სწავლების ან წყვილებში კითხვის ტექნიკის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება ერთმანეთის უკეთ გაგებაში. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრიტიკული კითხვა, რეკომენდებულია ჩატარდეს ე.წ. სოკრატისეული სემინარები და სამუშაო შეხვედრები, რათა გავაძლიეროთ მოსწავლეთა კრიტიკული კითხვის უნარები და დავეხმაროთ მათ, კრიტიკულად იაზროვნონ კითხვისას.
- შესაბამისი ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეიქმნა 7 საფეხურიანი მიდგომა სტუდენტების კითხვის უნარების განსავითარებლად პროექტზე დაფუძნებული სწავლის იმპლემნტაციისას რომლის გამოყენებაც მოხდა ექსპერიმენტის მსვლელობისას:
    - საფეხური # 1 (ძალიან მოკლევადიანი პირველი პროექტის დროს): კითხვის სტრატეგიების სტუდენტებისთვის წარდგენა მასწავლებლის მიერ - თუ რას წარმოადგენენ ისინი, როდის და როგორ უნდა იქნენ გამოყენებული.

        სტრატეგია # 1: ტექსტის გადათვალიერება, მთავარი აზრის გაგება, პროგნოზირება.
    - საფეხური # 2 (ძალიან მოკლევადიანი მეორე პროექტის დროს):

        სტრატეგია # 2: შეჯამება, კითხვების შედგენა, დეტალების დაზუსტება.

- საფეხური # 3 (შედარებით გრძელვადიანი მესამე პროექტის დროს):

  სტრატეგია # 3: უცხო ლექსიკის მნიშვნელობის გამოცნობა ლინგვისტურ ცოდნაზე დაყრდნობით.
- საფეხური # 4 (უფრო გრძელვადიანი მეოთხე პროექტის დროს):

  სტრატეგია # 4: უცხო ლექსიკის მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით.
- საფეხური # 5 (გრძელვადიანი მეხუთე პროექტის დროს):

  სტრატეგია # 5: უცხო ლექსიკის მნიშვნელობის გამოცნობა არსებული ზოგადი ცოდნის ბაზაზე.
- საფეხური # 6 (გრძელვადიანი მეექვსე პროექტის დროს):

  სტრატეგია # 4: უცხო ლექსიკის მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით.
- საფეხური # 7 (გრძელვადიანი მეშვიდე პროექტის დროს):

  შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა.

პირველი და მეორე საფეხური მიმდინარეობს მასწავლებლის აქტიური დახმარებით, მესამე და მეოთხე - ნაწილობრივ და მეხუთიდან მეშვიდემდე სრულად დამოუკიდებლად სრულდება სტუდენტების მიერ.

- ექსპერიმენტის მსვლელობისას საკლასო გამოცდილებაზე დაყრდნობით 5 მთავარ ფაზას გთავაზობთ პროექტების შესრულებისას:
  - პროექტისთვის მზადება;
  - გუნდების შედგენა;
  - გუნდის წევრებს შორის როლების გადანაწილება;
  - კითხვის პროექტის სამუშაო ფაზა;
  - ფარული დახმარების გაწევა საჭიროების შემთხვევაში
- ჩატარებული კვლევა მოიცავდა როგორც სტუდენტების გამოკითხვას,ისე მასწავლებლების ინტერვიუს კვლევაში ჩართული სტუდენტების კითხვის ჩვევების შესახებ. ორივემ სერიოზული პრობლემები გამოავლინა კითხვის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით. კვლევა აგრეთვე მოიცავდა ექპერიმენტს და ექსპერიმენტის-შემდგომი სტუდენტების კითხვარს და მასწავლებლების

ინტერვიუს, რათა გაგვეგო მათი კმაყოფილება გამოყენებულ მეთოდთან დაკავშირებით.

- ექსპერიმეტის მონაწილენი იყვნენ დაწყებითი დონის მოსწავლეები; შესაბამისად, პროექტებიც დაგეგმილი იყო ითხვის სათანადო დონის უნარ-ჩვევების გასავითარებლად (დათვალიერებითი, ძიებითი და შესწავლითი კითხვა). მოსალოდნელი იყო, რომ სწავლის ყოველ შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები გამოავლენდნენ უფრო და უფრო რთული ტექსტების გაგების უნარს.
- თვითეული პროექტი, რომლის ორგანიზებაც მოხდა წინამდებარე ნაშრომისთვის, გათვლილი იყო დაწყებითი დონის კითხვის უნარ-ჩვევებისთვის, რომელთა დონის ამაღლებაც იყო მისაღწევი მიზანი. პროექტები დაიგეგმა ისე, რომ სტუდენტები ჩართულნი ყოფილიყვნენ ტექსტობრივად მდიდარ გარემოში. ყოველი პროექტი მოითხოვდა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას წინა პროექტებთან შედარებით. შეთავაზებული პროექტები იყვნენ მეტად კონტექსტუალურები, რადგან გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა რჩევები, მათი საჭიროებები აკადემიურიკითხვისუნარებთან მიმართებაში, ასევე ცხოვრებისეული უნარები, მათი ინტერესები და კურიკულუმის მიზნები. ამგვარად, ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებმა დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონამ მთავარ პრინციპებს პროექტზე დაფუძნებული სწავლის იმპლემენტაციის პროცესში, რათა გააუმჯობესონ სტუდენტთა კითხვის უნარ-ჩვევები.
- სხვადასხვა სახის პროექტების შესრულებისას, კვალდაკვალ ენის შემსწავლელები მუდმივად ვითარდებოდნენ როგორც მკითხველები. უფრო მეტიც, პროექტზე დაფუძნებული სწავლა ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებს აძლევს შანსს, რომ მათ უფრო მეტი ასწავლონ თავიანთ მოსწავლეებს, ვიდრე სახელმძღვანელოს ავტორი სთავაზობს მათ.
- პროექტზე დაფუძნებული სწავლა უნდა დაინერგოს კითხვის სწავლების დროს ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში. ყველა ჩემი ამჟამინდელი თუ ყოფილი კოლეგა ფაკულტეტზე თუ სკოლაში იზიარებს ჩემს

მოსაზრებას, რომ მოსწავლეებს უმეტესად არ უყვართ კითხვადა, შესაბამისად, აქვთ კითხვის სუსტი უნარ-ჩვევები. კვლევამ დაამტკიცა, რომ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება პროექტზე დაფუძნებული სწავლის ფარგლებში არის ინოვაციური, გზისმკვლევი, ნაყოფიერი მიდგომა, სწავლა-სწავლების ეფექტური საშუალება და ტექნოლოგიური და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ქმნის მეგობრულ, პროდუქტიულ და სახალისო გარემოს როგორც აუდიტორიაში, ისე მის გარეთ, სადაც სტუდენტებს აქვთ ურთიერთგაგება, მათი კულტურისა თუ რელიგიის მიუხედავად, და სადაც ისინი ეძებენ ცოდნას.

- პროექტზე დაფუძნებული სწავლის ფარგლებში ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელები იღებენ ახალ ინფორმაციას, პროექტისთვის მასალის კითხვა მათ ეხმარება უკეთესად გაიგონ ტექსტები, შეძლონ კითხვა სტრიქონებს შორის, მოახდინონ ინფორმაციის სინთეზირება, ინტერპრეტაცია და ყველანაირ წინსვლას მიაღწიონ (Grabe, 1991; Noor, 2011; Richards, 1976). მოსწავლეებს პროექტის განხორციელების პროცესში ესაჭიროებათ დამატებითი კითხვა, რაც ბუნებრივად წარმოშობს კითხვის სტრატეგიების გამოყენებას მასალის უფრო ღრმა გასაგების მიზნით. ისინი იწყებენ წაკითხული მასალის გაანალიზებას და სინთეზირებას კითხვის სტრატეგიების გამოყენებით, წარმოქმნილ კითხვებზე პასუხის გაცემით. ამის გარდა, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისური ენის სხვა მთავარი უნარების (წერისა და ლაპარაკის) განვითარებაში. პროექტზე დაფუძნებული სწავლა მოტივაციას უღვიძებს სტუდენტებს, რომიკითხონ, ამ დროს კითხვის მთავარი მიზანი წაკითხულის ადექვატურად გაგების საკითხი დგება, რომელიც ჩნდება კითხვის სტრატეგიების გამოყენების დროს.
- წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა, დაედგინა პროექტზე დაფუძნებული სწავლის გავლენა ენის შემსწავლელთა კითხვის უნარ-ჩვევებზე. დისერტაციის ჰიპოთეზა მდგომარეობდა იმაში, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლის დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდიდა უნივერსიტეტის სტუდენტ-

ბაკალავრების კითხვის უნარ-ჩვევებს ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლების კონტექსტში. ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებში აჩვენა ბევრად უფრო მაღალი წარმატება კითხვის უნარებში (საშუალო შედეგები შეიცვალა 51.435-დან 86.087-მდე) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (საშუალო შედეგები შეიცვალა 50.320 -დან 58.640-მდე). ამგვარად, ექსპერიმენტმა დაამტკიცა პროექტზე დაფუძნებული სწავლის გამოყენების ეფექტურობა ექსპერიმეტში ჩართული სტუდენტების კითხვის უნარ-ჩვევებს გაუმჯობესების საქმეში. მაშასადამე, შესაძლებელია, რეკომენდაცია გავუწიოთ დისერტაციაში შემუშავებული პდს-ის 7-საფეხურიანი მოდელს. შემდეგმა კვლევამ შესაძლოა გამოიკვლიოს ინგლისური ენის უნარ-ჩვევები და ქვე-უნარ-ჩვევები ინდივიდუალურად ან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში.

- კვლევაში ასევე გამოყენებულია პროექტზე დაფუძნებული ინგლისურ ენაზე კითხვის სწავლის ექსპერიმენტში ჩართული მოსწავლეების და მასწავლებლების შეფასებები. შემდეგმა კვლევამ შესაძლოა გამოიკვლიოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამოკიდებულება პროექტზე დაფუძნებული სწავლის გამოყენების მიმართ ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების კონტექსტში, სადაც მოხდება ენის შესწავლის ყველა უნარის თავმოყრა.
- კვლევამ გამოავლინა სტუდენტების დამოკიდებულება კითხვის მიმართ და მათი ჩართულობა კითხვის პროცესში. სტუდენტებს ძირითადად უყვართ კითხვა: დადებითი პასუხი ამ შეკითხვაზე გასცა რესპოდენტთა 72%-მა (მათ შორის მდედრობითი სქესის სტუდენტები 32%-ს შეადგენდა და მამრობითი სქესის - 40%-ს). მეორეს მხრივ, სტუდენტების 28%-ს (16+12) არ უყვართ კითხვა და ეს არის უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავლისმეტყველი რაოდენობა, განსაკუთრებით განათლების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. სტუდენტთა მხოლოდ 33.3% ანიჭებს უპირატესობას კითხვას თავისუფალ დროს, ამავე დროს სხვა ასპექტებიც გამოიკვეთა კითხვარის შედეგებში. პირველი: სტუდენტთა 58.3% უყვარს გარეთ გასვლა და მეგობრებთან დროის გატარება. რადგანაც პროექტზე დაფუძნებული სწავლა მოითხოვს

სტუდენტთა შეთანხმებას და ურთიერთ თანამშრომლობას, შესაბამისად, იქმნება აუცილებლობა გუნდურიმ უშაობისა. მეორე: სტუდენტთა 42% დაკავებულია ინტერნეტით თავისუფალ დროს. ეს პოზიტიური ტენდენციაა პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს, რადგან ეს ეხმარება მათ სწავლაში. სტუდენტები არ კითხულობენ ბევრს, რადგან სჯერათ, რომ ზედმეტად დაკავებულები არიან მობილური ტელეფონებით. მდედრ სტუდენტთა 50% და მამრ სტუდენტთა 46% დაკავებულნი არიან ტელეფონით. შემდგომი კვლევები სავარაუდოდ შეამოწმებენ პროექტზე დაფუძნებული სწავლის ინტეგრირებას სტუდენტთა ყველაზე საყვარელ აქტივობებთან და მათ წვლილს ენობრივი უნარ-ჩვევების დაუფლებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, კომპიუტერის დახმარებით პროექტზე დაფუძნებული სწავლის და მობილურის საშუალებით სწავლების ინტეგრაცია იქნება პოზიტიური და ძლიერი სტიმული ენის უნარების, ასევე ციფრული და ცხოვრებისეული უნარების გასაძლიერებლად. ეს ნაშრომი იქნება კარგი ბაზა დაწყებითი, საშუალო და დამამთავრებელ კლასებ შისწავლისთვის. შესაძლოა ჩატარდეს უფრო მოკლევადიანი პროექტები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში, რადგან ასეთ პროექტებს უფრო ადვილად ამთავრებენ დ ასტუდენტები არ კარგავენ მოტივაციას.

- წინამდებარე კვლევა, რომელიც ჩატარდა იშიკის უნივერსიტეტში განთლების ფაკულტეტის პირველკურსელ სტუდენტებთან, რომელთა ასაკიც მერყეობდა 17-დან 25 წლამდე, შეიძლება იყოს კარგი ბაზა შემდეგი კვლევისათვის როგორც დაწყებით,ისე საშუალო სკოლაში. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში და სხვადასხვა მოკლევადიანი, შედარებით გრძელვადიანი და გრძელვადიანი პროექტები ჩატარდა ინგლისურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. ამ კვლევაში გამოყენებული პროექტების საშუალებით შეიძლება ჩატარდეს შემდგომი კვლევები, სხვადასხვა ხანგრძლივობის პროქტების ჩარტვით სხვა გარემოში.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხსენების თანახმად (2008, ციტირებულია Khreisat, 2014-ში), ამერიკელები და ბრიტანელები რვიდან თერთმეტ წიგნამდე კითხულობენ წლის განმავლობაში. ამავე დროს

სპარსეთის ყურის მკვიდრნნი მხოლოდ 4 გვერდს თუ კითხულობენ წლის განმავლობაში. ამიტომ ისეთ პედაგოგებს, რომლებიც არა მხოლოდ ეხმარებიან სტუდენტებს ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, არამედ ასევე ავითარებენ მათში ჰუმანისტურ ეთიკას, მიზნად უნდა ჰქონდეთ დასახული, რომ შეაყვარონ მოსწავლეებს კითხვა, რადგანაც კითხვა წარმატების გასაღებია განათლების მიღების თუ პირადი ცხოვრების ყველაეტაპზე. განსაკუთრებით, ენის პედაგოგებმა უნდა ეძიონ ახალი მიდგომები, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაში. პროექტზე დაფუძნებული სწავლა ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

- პროექტზე დაფუძნებული სწავლა მრავალფეროვანი პროექტების საშუალებით დაეხმარა ერაყელ ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელებს, გაეუჯობესებინათ მათი კითხვის უნარ-ჩვევები. დებატები არის პროექტის ნაირსახეობა, რომელშიც ენის შემსწავლელებმა უნდა ეძიონ კონკრეტული თემის მიხედვით თავიანთი არგუმენტების გასამყარებლად დეტალური, დათვალიერებითი თუ კრიტიკული კითხვის უნარების გამოყენებით. ვიქტორინისსაშუალებით კი კითხვის გაკვეთილი უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ბიოგრაფიების კითხვა აუმჯობესებს ინგლისური ენის შემსწავლელების დეტალური და დათვალიერებითი კითხვის უნარ-ჩვევეებს სპეციფიური ინფორმაციის მოსაძიებლად. მონაცემების შეგროვების პროცესში სტუდენტებმა გაიუმჯობესეს სხვადასხვა უნარები: კითხვა ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის ტიპების ცნობა და ინფრომაციის ტრანსფორმაცია სხვა ფორმატში. სიტყვა „პრეზენტაცია“ ზოგადად ასოცირდება პრეზენტაციის ზეპირ უნართან და სიტუაციასთან, როცა ერთი ადამიანი ლაპარაკობს და სხვები მას უსმენენ. თუმცა, პრეზენტაციას პირდაპირი კავშირი აქვს კითხვის უნართან, განსაკუთრებით, მასალების შეგროვების პროცესში, როცა მკითხველები იძიებენ წერილობით მასალას პრეზენტაციის თემატიკის ირგვლივ. პრეზენტაციის მომზდება და გაკეთება ენის შემსწავლელბისგან მოითხოვს ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევების ჩართვას: კითხვის, წერის,

საუბრისა და მოსმენის. იმისათვის, რომ ენის შემსწავლელებმა შეძლონ პრეზენტაციის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადება, მათ კითხვის უნარ-ჩვევები უნდა გამოიყენონ. ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებს ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ მათ გამოიყენონ მრავალფეროვანი პროექტები მოწყენილობის თავიდან ასაცილებლად, რაც ხშირად თან სდევს ერთფეროვანი პროექტების გამოყენებას.

- პროექტზე დაფუძნებული სწავლა უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს კულტურის და თემატიკის შინაარსის, ასევე მონაწილეთა სწავლის გამოცდილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროექტების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ გენდერული მახასიათებლები გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით (როგორიცაა შერეულ ჯგუფში მუშაობა).

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ **პუბლიკაციებში:**

1. Kavlu, A. (2015). Implementation of Project-Based Learning (PBL) in EFL (English as a Foreign Language) classrooms in Fezalar Educational Institutions (Iraq).*5th International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language.* Tbilisi: International Black Sea University. p. 206-221.
2. Kavlu, A. (2015). Project-Based Learning Assessment Methods Comparison in Undergraduate EFL Classes. *International Journal of Social Sciences & Educational Studies Ishik University,1*(4),p. 47-56.
3. Kavlu, A. (2015).The Place of Reading in EFL Context. *International Journal of Social Sciences & Educational Studies Ishik University, 2* (1), p. 81-88.
4. Kavlu, A. (2015). The Effect of Project-Based Learning on Undergraduate EFL Students' Reading Comprehension Ability. *Journal of Education in Black Sea Region. 1(1), p.* 39-44.